ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4582389

ნომერი: AR1692847

თარიღი : 09.07.2019

გაცემის თარიღი : 10.07.2019

გაცნობის თარიღი : 10.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 178 ; ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , 182 -ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დ.აღმაშენებლის გამზ. N178-ის მიმდ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის № 4575212 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 09

ივლისს №AR1692847 განცხადებით მომართა ქეთევან ფანცულაიამ. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4575212 ბრძანებაში ცვლილების შეტანა საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4575212 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი – დიდუბე), დავით აღმაშენებლის გამზ. N178-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და სასტუმროს კორექტირებული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 10 ივლისიდან 2019 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს ცვლილების შეტანას 2019 წლის 08 ივლისის №4575212 ბრძანებაში და საკადასტრო კოდად N01.13.07.024.002-ის ნაცვლად N01.13.07.024.079-ის დაფიქსირებას.
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით დგინდება, რომ №01.13.07.024.002; №01.13.07.024.065 და №01.13.07.024.077 საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად მიღებულ იქნა N 01.13.07.024.079 საკადასტრო ერთეული.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული კორექტირებული პროექტის შეთანხმების დროს წარმოდგენილი იყო მიწის ნაკვეთის გეგმა, რომელზეც საკადასტრო საზღვრები დატანილი იყო განახლებული საკადასტრო გეგმის მიხედვით (საკადასტრო კოდი: 01.13.07.024.079; განცხადების ნომერი: 882019488149, მომზადების თარიღი: 20/06/2019). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება 2019 წლის 08 ივლისის №4575212 ბრძანებაში და დააფიქსიროს ახალი საკადასტრო კოდი: №01.13.07.024.079).
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად N01.13.07.024.079 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წარმოადგენენ სს „ჰოტელ 1930'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404533224) და სს „სტადიუმ ჰოტელი'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402047236). 2019 წლის 09 ივლისის №AR1692847 განცხადებაზე წარმოდგენილია მესაკუთრეების მიერ შპს ,,არტსტუდიო-პროექტი''-ს სახელზე გაცემული 2019 წლის 19 აპრილის მინდობილობები, რომლებიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. ამავე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს ,,არტსტუდიო-პროექტი''-ს დირექტორის მიერ ქეთევან ფანცულაიას სახელზე გაცემული მინდობილობა, რომლითაც დგინდება, რომ მინდობილ პირს აქვს უფლებამოსილება, კომპანიის სახელით აწარმოოს ყველანაირი საქმიანობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4575212 ბრძანებაში და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად N01.13.07.024.002-ის ნაცვლად დაფიქსირდეს ს/კ: N01.13.07.024.079 (განცხადების ნომერი: 882019488149, მომზადების თარიღი: 20/06/2019).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4575212 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის № 4575212 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.